გილოცავთ სვეტიცხოვლობის დიდებულ დღესასწაულს!

# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

10 ოქტომბერი
ხუთშაბათი
2024 წელი
№41 (9355)
ფასი 40 თეთრი

## სამოთხე ტურისტებისათვის



**ბორჯომის ცენტრალური არეალის ურბანული განახლების პროექტის ფარგლებში, განახლდება ბორჯომის ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორია და ცენტრალური ისტორიული პარკი.**

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხიდებს, დამონტაჟდება დამცავი ჯებირები და ჩატარდება სხვა აუცილებელი სამუშაოები;
- სრულად განახლდება ბორჯომის ისტორიული პარკის ინფრასტრუქტურაც, მოეწყობა გასართობი, საბავშვო და სპორტული სივრცეები, დაემატება მწვანე ნარგავები, განახლდება საფეხმავლო ბილიკები და ამორტიზირებული გასართობი ატრაქციონები გამოიცვლება ახალი თანამედროვე ანალოგებით. პარკში მოეწყობა გარე განათების, ირიგაციის და სხვა საინჟინრო სისტემები;
- ,,ქალაქ ბორჯომის ისტორიული არეალის რეაბილიტაცია-რესტავრაციის პროექტი მოიცავს როგორც ხიდების აღდგენას, ისე შესაბამისი საინჟინრო ქსელების და სხვა ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას. ამასთან, უკვე მიმდინარეობს ბორჯომის ცენტრალური პარკის განახლება-მოდერნიზება, რომლის შედეგადაც ქალაქის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის პარკში დასვენება კიდევ უფრო საინტერესო გახდება. განახლებული ისტორიული პარკი ბორჯომის ტურისტულ პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის“ - ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ ბორჯომის ცენტრალურ პარკში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა;
- პარკი სრულად იქნება მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ბავშვის ეტლით მოსარგებლე მშობლების საჭიროებებზე;
- პროექტს ქალაქებისა და კურორტების განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს და მისი საორიენტაციო ღირებულება 35 მილიონი ლარია.

## დახმარება ბენეფიციარებს

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, სექტემბერეში 1 103 ბენეფიციარს 261 993 ლარის დახმარება გაეწია.**

**მათ შორის:**

- 190 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 128 881 ლარი გამოიყო;
- 99 ბენეფიციარი მედიკამენტების შესაძენად 18 617 ლარით დაფინანსდა;
- ონკოლოგიური დაავადებების მქონე 29 პაციენტი 26 775 ლარით დაფინანსდა;
- 107 მრავალშვილიანი ოჯახი 25 750 ლარით დაფინანსდა;
- 308 ოჯახი კომუნალური გადასახადებისათვის 11 520 ლარით დაფინანსდა;
- 100 წელს გადაცილებულ 2 მოქალაქეს 200-200 ლარი ჩაერიცხა;

ასევე, სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.

### აქტუალური ინტერვიუ

## არჩევნებიდან არჩევნებამდე განვლილი გზა წარმატებულია

**სულ ცოტა დრო რჩება საპარლამენტო არჩევნებამდე. საარჩევნო სამზადისი დაწყებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ,,ქართული ოცნების“ შტაბი, მოსახლეობასთან აქტიური შეხვედრები მიმდინარეობს. დეტალურად სასაუბროდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ დავით ზაალიშვილს ვესაუბრეთ:**





**არჩევნებიდან არჩევნებამდე განვლილი გზა წარმატებულია. განვლილი პერიოდი რომ შევაჯამოთ, თქვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოს სათავეში ყოფნის პერიოდში, რომელ პროექტებს გამოყოფდით?**

- 2021 წლიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით უამრავი პროექტი განხორციელდა, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე ჯანდაცვის კუთხით. ამ მიმართულებით ყოველწლიურად ვზრდით პროგრამებს, ის პროგრამები რაც მანამდე გვქონდა, გარკვეული სახის პროექტებით ვაფართოვებთ. წელს მაგალითად 2024 წლის 1 იანვრიდან მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაბადებულ პირველ შვილზე მშობელს ერთჯერადად ეძლევა 1000 ლარი, ხოლო მთელი წლის მანძილზე ყოველთვიურად 100 ლარი. გვაქვს სოციალური პროექტები, ასევე სტუდენტების დაფინანსების პროგრამა, რომელიც კიდევ გავაფართოვეთ. ალბათ ყველასთვის შესამჩნევია, რომ არა მხოლოდ ბორჯომის რაიონში, არამედ მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ დაბა-სოფლებშიც წლიდან წლამდე წინსვლა იგრძნობა. 2024 წლის ბიუჯეტიც გაიზარდა და შესაბამისად აისახა პროექტების დაფინანსებაშიც, რომლებიც წლებია ხორციელდება. ვხედავთ, რომ მუნიციპალური ტრანსპორტიც თითქმის ყველა მიმართულებით დადის. ყველაზე მასშტაბური პროექტი, რაც განხორციელდება გახლავთ სტადიონის რეაბილიტაცია, სპორტსკოლისა და კულტურის სახლის ახალი შენობების მშენებლობა.

**ქვეყნის მასშტაბით, საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება დიდი ხანია დაწყებულია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი როგორ ემზადება? რა ღონისძიებები ხორციელდება არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისთვის?**

- აქტიურად მიმდინარეობს წინასაარჩევნო მუშაობა, ფუნქციონირებს შტაბიც. მიმდინარეობს მოსახლეობასთან აქტიური შეხვედრები როგორც ქალაქში, ასევე დაბა-სოფლებში. ვსაუბრობთ იმ საკითხებზე და პრობლემებზე თუ რა გაკეთდა და სამომავლოდ რა გაკეთდება.

**რაკიღა უშუალოდ გიწევთ მოსახლეობასთან შეხვედრები და ვიცით, რომ წელს არჩევნები სრულიად ახალი სისტემით ჩატარდება, რამდენად მზად არის ამისთვის მოსახლეობა?**

- საქართველოში არსებული ყველა მუნიციპალიტეტის მსგავსად ახალი ელექტრონული სისტემით ჩატარდება არჩევნები ბორჯომშიც. ბორჯომის №1 საჯარო სკოლაში მიმდინარეობდა ცესკოს მიერ იმიტირებული საარჩევნო პროცედურა, სადაც მოსახლეობას დეტალურად აცნობენ ხმის მიცემისათვის საჭირო ყველა დეტალს. ცესკოს მხრიდან ასევე ადგილზევეც მოხდა რამდენიმე სოფელსა და დაბაში მოსახლეობისათვის ხმის მიცემისათვის საჭირო დეტალების გაცნობა. მოკლედ, სრულ მზადყოფნაში ვართ.

**როგორია, თქვენი როგორც ხელისუფლების სათავეში მყოფი ერთ-ერთი პირისა და ერთი ჩვეულებრივი, საქართველოს რიგითი მოქალაქის მოლოდინი არჩევნებთან დაკავშირებით?**

- არჩევნებთან დაკავშირებით მოლოდინები არის პოზიტიური, მოსახლეობა ხედავს ყველანაირ წინსვლას, წარმატებას, ყველაფერს დადებითს, რასაც ეს ხელისუფლება ამ წლების მანძილზე აკეთებს. ყველა მოაზროვნე ადამიანი ხედავს იმ რეალობას, რასაც ,,ქართული ოცნება“ ამ წლების განმავლობაში ახორციელებს და ის გეზი, რაც მმართველ პარტიას აქვს აღებული, უნდა გაგრძელდეს, რათა საქართველოს თითოეული მოქალაქე მშვიდობიან, უსაფრთხო, წარმატებულ და განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრობდეს. ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ამისთვის, რომ განვითარდეს, ევროკავშირშიც შევიდეს და უფრო მეტ წინსვლას მივაღწიოთ.

**ნატო მელიქიძე**

## გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც ამავე საბჭოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** უძღვებოდა.

საბჭოს წევრებმა დღის წესრიგით განსაზღვრული ორი საკითხი განიხილეს: ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით გამოცემული წიგნის **„ბორჯომის საპატიო მოქალაქეების“** შესახებ;

იმსჯელეს წიგნის „ბორჯომის საპატიო მოქალაქეები“ პრეზენტაციის შესახებ.

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – მოქმედებაში



**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ტბის ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დასრულდა.**

სოფელ ცემში და სადგერში სკვერის რეაბილიტაცუა დასრულდა, ხოლო ლიბანში ფანჩატური მოეწყო. სოფელ ტბაზე სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია და სკვერის მოწყობა მიმდინარეობს.

შეხვედრები მუნიციპალიტეტის 33 სოფელში გაიმართა. სოფლის კრებებზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება.

2024 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 872 000 ლარი გამოიყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთში შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.**

პროექტის ფარგლებში, 750 მეტრზე არმირებული ბეტონის საფარიანი გზა მოეწყობა. სამუშაოებს შპს ,,მშებებელი 2011” ასრულებს.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.



## სკვერს ზაალ ბარათაშვილის სახელი მიენიჭა



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერს ჩვენი თანაქალაქელის, რუსთაველის თეატრის მსახიობის აწ გარდაცვლილის ზაალ ბარათაშვილის სახელი მიენიჭა.**

სკვერის ოფიციალურ გახსნას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი, მერის მოადგილე გიორგი ტაბატაძე, საკრებულოს დეპუტატები, ზაალ ბარათაშვილის ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ.

ზაალ ბარათაშვილი დაიბადა ქ. ბორჯომში 1960 წელს. 1977 წელს დაამთავრა ბორჯომის იმჟამინდელი №2 საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში.

1982-1983 წლებში მსახურობდა სამხედრო სამსახურში და პარალელურად მოღვაწეობდა მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. 1984-1986 წლებში იყო თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი.

1987 წლიდან გარდაცვალებამდე წარმატებით მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მსახიობად.

ამ ხნის განმავლობაში ორმოცამდე სპექტაკლში ითამაშა და თავისი წვლილი შეიტანა თითოეული სპექტაკლის წარმატებაში.

სკვერის გახსნისას სიტყვები წარმოთქვეს საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ**, ზაალ ბარათაშვილის უბნელმა **ვალერიან ლომიძემ**, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ზაალ ბარათაშვილის შესრულებულ როლებს და მწუხარება გამოთქვეს ახალგაზრდა მსახიობის გარდაცვალების გამო.










# დალი ქასაშვილის პოლიტიკური არჩევანი

**უთბილესი, უკეთილშობილესი, სამშობლოზე, საქართველოს ტრადიციებსა და კულტურაზე უანგაროდ შეყვარებული ქალბატონი დალი ქასაშვლი, წაღვერის საქალაქო კულტურის სახლის ხელმძღვანელი მის პოლიტიკურ ხედვას ღიად გვიზიარებს.**



**● ქალბატონო დალი, გვითხარით, როგორია თქვენი პოლიტიკური არჩევანი?**

- მე ღიად და საჯაროდ ვუჭერ მხარს პოლიტიკურ გაერთიანება „ქართულ ოცნებას“. პატივს ვცემ პარტიის დამფუძნებელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს. იგი დიდი პოლიტიკოსი და ქველმოქმედია, ასე ვფიქრობ მე და არავის არ აქვს უფლება, სხვაგვარად მაფიქრებინოს.

არ ვარ პოლიტიკოსი, თუმცა, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, თვალყურს ვადევნებდი და დღესაც ვადევნებ მიმდინარე პროცესებს, რაც მეხმარება გავაკეთო სწორი ანალიზი. მაქვს ჩემი სუბიექტური აზრი და ვფიქრობ, სწორ გზაზე ვდგავარ. არც წარსულში მომწონდა საჯარო შეურაცხყოფები პოლიტიკოსების მიმართ. გვმართებს პატივი ვცეთ ერთმანეთს და დავამკვიდროთ პოლიტიკური კულტურა საზოგადოებაში.

მძიმედ ვიხსენებ ფსიქოლოგიური წნეხის 9 წელს, ეს იყო ბუტაფორიული წლები, ყველაფერი ლამაზად იფუთებოდა, და იმის მიღმა რა ხდებოდა?! ბევრ უდანაშაულოს მიაკერეს დანაშაული და რაც ხდებოდა საპატიმროებში ყველამ კარგად ვიცით.

მე, როგორც ოპტიმისტი ადამიანი ყველაფერში კარგს ვეძებ, მაშინაც ასე ვიქცეოდი, თუმცა შინაგან თავისუფლებას ვერ ვგრძნობდი.

2012 წელს, როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე, იმ წუთიდან იმედი გამიჩნდა, მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს ნამდვილი აღმშენებლობის განცდით.

**● მოგვიყვანეთ, მინიმუმ სამი არგუმენტი ჩვენი მკითხველისათვის, თუ რატომ არის ქალბატონი დალი ქასაშვილის არჩევანი სწორი გადაწყვეტილება?**

- ვთვლი, რომ მიუხედავად გარე მძიმე პოლიტიკური წნეხისა, საქართველო მიდის სწორი გზით, საქართველო ცდილობს დაიცვას ქვეყნებს შორის ურთიერთობის ბალანსი, იჩენს მაქსიმალურ სიფრთხილეს, რომ არ ჩაერთოს საბრძოლო ქმედებებში, რადგან ეს იქნება ჩვენი ქვეყნის არსებობის დასასრული. თითქმის ყველა სფეროში მიმდინარეობს რადიკალური ცვლილებები პროგრესის დამკვიდრებისათვის, რა თქმა უნდა, არის გარკვეული შეფერხებები და ჩვენ რომ გვინდა, ზოგჯერ ყველაფერი ისე არ არის. ჩვენ გამოვიარეთ ძალიან ცუდი და მძიმე წლები. ურთულესი იყო ის პერიოდი. აშენებულს ნუღარ დავანგრევთ და ნუ წავლეკავთ ყველაფერს.

საჭიროა დრო, რომ ყველა ადამიანი იყოს კმაყოფილი და ბედნიერი, რომ არ იყვნენ უსახლკაროდ ადამიანები, გვყავდეს ნაკლები ემიგრანტი და ა.შ.

ჩვენ ვართ მაქსიმალისტი საზოგადოება, უსაზღვრო ამბიციებით და ეს გვიშლის ხელს, რომ სიმართლეს გავუსწოროთ თვალი.

**● როგორია თქვენთვის მისაღები პოლიტიკა და როგორი უნდა იყოს კარგი პოლიტიკოსი?**

- ჩემთვის მისაღებია, იცით, როგორი პოლიტიკა და პოლიტიკოსები, რომელთაც აქვთ შორს ჭვრეტის უნარი, პირველ რიგში ადამიანების კეთილდღეობაზე ფიქრობენ, მათ საჭიროებებზე და მათზეა აგებული მთლიანად პოლიტიკური სიახლე, რომელიც მიმზიდველია შორეული ქვეყნებისთვისაც. ყველა პრობლემა თანდათან უნდა გვარდებოდეს და ლაგდებოდეს, ისევე როგორც ოჯახებში.

მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსი კარგი გუნდის გარეშე ვერ შეძლებს წარმატებული პროექტების განხორციელებას, ისინი უნდა იყვნენ კეთილსინდისიერნი. უნდა ვისწავლოთ კარგზე კარგის თქმა და ცუდზე ცუდის.

**● როგორ ბორჯომში ისურვებდით ეცხოვრათ მომავალ თაობას?**

- მსურს, ბორჯომი ყოველმხრივ დამშვენებული, განვითარებული, სრულყოფილი ინფრასტრუქტურით არსებობდეს. დარჩეს ისეთი თბილგულა, როგორიც დღეს არის. სწორედ, ასეთი ბორჯომი მინდა მომავალი თაობისათვის, რომ მათ ჰქონდეთ ყველა სასიკეთო რესურსი ცხოვრებისათვის. არ ჰქონდეთ რადიკალური კითხვა - „აქ, რა უნდა ვაკეთო“?!

**ესაუბრა იზა იანვარაშვილი**

# ოჯახი პატარა საზოგადოებაა

**ბოლო რამდენიმე წელია განათლების სამინისტრომ სკოლებში ახალი საგნის ,,მე და საზოგადოების“ სწავლება დაიწყო. საქართველოში არსებულ ყველა კერძო თუ საჯარო სკოლაში აღნიშნულ საგანს მესამე კლასიდან ასწავლიან. იქიდან გამომდინარე ჩემი სამივე შვილი საჯარო სკოლის მოსწავლეა და თანაც ერთმანეთის მიყოლებით, ერთი და ორი წლის ინტერვალით უწევთ ერთი და იგივე საგნების გავლა, რა თქმა უნდა, მეც აქტიურად ვარ ჩართული მათი სწავლების პროცესში და ვიცი ის საკითხები, რასაც სასკოლო პროგრამით გადიან. არ ვიცი, ბევრს გქონიათ თუ არა შეხება ,,მე და საზოგადოების“ III კლასის სახელმძღვანელოსთან, თუმცა, თუკი არ გქონიათ, კარგი იქნებოდა, რომ სოციალურ ქსელშიც მოგეძიებინათ ის საკითხები, რასაც მოსწავლეებს ასწავლიან.**



**გამიჩდა სურვილი, რომ ჩემი შეხედულება გამოვხატო ამ სახელმძღვანელოს მიმართ და თქვენც სიამოვნებით გაგიზიაროთ.**

მართლაც ძალიან საინტერესოდ იწყება საგნის პირველი გაკვეთილი, სადაც ,,უჩინარი ლუკას ამბავია“ მოთხრობილი. ბიჭი ინატრებს, რომ უჩინარი იყოს მასწავლებლისთვის, მეგობრებისთვის, დედისთვის. თუმცა ბოლოს მას იმდენად შეაწუხებს თავისი უჩინარობა, რომ ისევ ნამდვილ ბიჭად ყოფნას ინატრებს. მოკლედ, ზღაპრის მთავარი აზრიც ის არის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ და იცოდნენ ის, რომ ადამიანის მარტო ყოფნას ცხოვრებაში არანაირი აზრი არ აქვს და თუ ის საზოგადოების წევრი არ იქნება, მის არსებობას მნიშვნელობაც ეკარგება.

ჩემი ყურადღება მიიქცია სახელმძღვანელოში არსებულმა განმარტებებმა ქცევის წესების შესახებ,. სახელმძღვანელოში წერია: - **ადამიანებმა მოიგონეს სავალდებულო ქცევის წესები. მაგრამ მათგან სარგებელი მხოლოდ მაშინ არის, როცა ისინი ყველამ იცის და ყველა იცავს. მაგალითად, არსებობს წესი, როცა ერთი მოსწავლე პასუხობს, სხვები უსმენენ. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ამ წესს რომ არავინ იცავდეს და კლასში ყველა ერთად ლაპარაკობდეს...**

ან თუნდაც ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობაზე და ყველაზე მთავარზე, ოჯახზე ასეთი რამ წერია: - **შენ საზოგადოების ნაწილი ხარ. ოჯახი, სკოლა, მეგობრები, სახელმწიფო, ხალხი - ეს საზოგადოებაა. ჩვენ სხვადასხვა ადამიანთან გვაქვს ურთიერთობა, მაგრამ თითოეული ადამიანისთვის საზოგადოებაში ცხოვრება ოჯახიდან იწყება. ოჯახი პატარა საზოგადოებაა...**

ყველაზე მნიშვნელოვნად და რაც მთავარია, აუცილებლად დროულად მეჩვენა ოჯახის, დედ-მამისა და ცოლ-ქმრის შესახებ განმარტებები. ცოლ-ქმრის თანასწორობისა და ერთიანობის შესახებ სახელმძღვანელოში შესანიშნავი მაგალითით, ილუსტრაციითა და სიტყვიერი განმარტებითაა მოცემული. ილუსტრაციაზე ვხედავთ გევრდიგვერდ მდგომ უღელშებმულ ხარებს..

მკითხველებს გთავაზობთ ილუსტრაციის ფოტოს, განმარტებასთან ერთად:

- უღელი არის ხის მოწყობილობა, რომელშიც აბამენ ხარებს, მიწის მოსახნავად ან ურმით ტვირთის გადასაზიდად. უღელი ხელს უწყობს ორ ხარს შორის ტვირთის თანაბრად გადანაწილებას.

**,,ქმარი და ცოლი ეწევიან ერთსა და იმავე ,,უღელს“, ანუ შრომას, შვილების აღზრდას. ამიტომაც ცოლ-ქმარზე ოჯახური საქმიანობა თანაბრად ნაწილდება, ისევე, როგორც უღელში შებმულ ხარებზე. ოჯახში ცოლ-ქმრის უფლებები თანაბარია“.**

სწორედ ზემოთ აღნიშნული განმარტება ახლავს ილუსტრაციას და მე ვფიქრობ, რომ ნამდვილად საამაყოა თითოეული ჩვენთაგანისათვის, რომ ცოლ-ქმრის შესატყვისი სიტყვა, როგორიც ,,მეუღლეა“ ქართული ენის გარდა, ალბათ, არც ერთ სხვა ენაში არ მოიძებნება.

თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ პირადად ჩემ თაობაში და ალბათ უფროს თაობაშიც, ჩვენდა საწუხაროდ, ამ სიტყვის მნიშვნელობა და არსი ბევრ ოჯახში დღესაც არ იციან. სამწუხაროა, ბევრ ადამიანს დღესაც მხოლოდ ქალის და დედის მოვალეობა ჰგონია შვილების მოვლა, მუშაობა, ოჯახის საქმეებსა თუ მეუღლეზე ზრუნვა და პირიქითაც რომ იყოს, ალბათ ამდენი დანაშაული ხომ აღარ იქნებოდა? ამიტომაც მგონია და ვფიქრობ, რომ დღეს, როდესაც მესამე კლასში, ბავშვებს აქედანვე ასწავლიან თანაბარ უფლებებს ქალსა და მამაკაცს შორის, ცოლ-ქმარს, დედა-მამას შორის, დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი თაობა ყველაფერს სხვაგვარად აღიქვამს და იმედს ვიტოვებ, რომ წლების შემდეგ ასეთ საკითხებში განსწავლული და გაცნობიერებული თაობა ისეთი სახის დანაშაულს აღარ ჩაიდენს, რომლის შესახებაც დღეს ბევრჯერ ვისმენთ.

სამწუხაროდ დღეს, სწორედ იმ დროს, როდესაც მიზანმიმართულად ეწევიან ლგბტ ჯგუფების პროპაგანდას, ოჯახის სიწმინდის დაცვა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. სწორედ ამიტომაც, რამდენიმე წელია, პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და პარლამენტის გადაწყვეტილებით ჩვენ ქვეყანაში ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნება.

P.S. **დიახ, ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ოჯახია ის პატარა, თუმცა ერთობ ძალზედ მნიშვნელოვანი უჯრედი საზოგადოებისა, რომელსაც დაცვა და ძალიან დიდი მოფრთხილება სჭირდება.**

**ნატო მელიქიძე**

იუბილარი 80 წლისაა

# ამაყობს წარსულით, ხარობს მომავლით

**ფართო ერუდიციის და განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებში ზედმიწევნით გათვითცნობიერებულ შემოქმედს, ახალგაზრდულ წლებში საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ერთ-ერთ გამორჩეულ სამეურნეო ხელმძღვანელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინტელექტუალური საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელს, წაღვერში მცხოვრებ, ბატონ თამაზ ჩიქვაიძეს რამდენიმე დღის წინ დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.**



ამ ღირსეულ პიროვნებას ჩვენმა გაზეთმა მოკლე ტექსტით დაბადების დღე მიულოცა, ახლა კი, ცოტა ვრცლად გვინდა გაგაცნოთ ბატონი თამაზი, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საზოგადოებისაგან პატივისცემას და ღირსეულ დაფასებას.

ბატონი თამაზი მეტად საინტერესო და შინაარსიანი გზით მოვიდა ჩვენამდე, თბილისში დაიბადა ოთხმოცი წლის წინათ. 1961 წელს თბილისის №1 საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა, ხოლო 1967 წელს ასევე წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო თბილისის პლასტმასის ნაწარმის ფაბრიკაში, ღირსეულად გაიარა გზა ცვლის უფროსობიდან მთავარი მექანიკოსის მოადგილემდე.

1971 წლიდან მუშაობდა საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში რიგითი ინჟინრობიდან განყოფილების გამგის მოადგილემდე.

ბატონ თამაზს, როგორც საქმის მცოდნეს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს ერთ ადგილზე დიდხანს არ ტოვებდნენ და ხშირად საპასუხისმგებლო ობიექტების უფროსად აწინაურებდნენ.

1976 წლიდან ახალგაზრდა სპეციალისტი ქიათურის საშენ მასალათა კომბინატის დირექტორად დანიშნეს, ხოლო ორი წლის შემდეგ კვლავ მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე თბილისის სამთო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების საწარმოო სამმართველოს მომარაგება-გასაღების სამმართველოს მთავარ ინჟინრად ნიშნავენ, იმავე წლის ბოლოს ავჭალის სილიკატური, საკედლე მასალების ქარხნის გენერალურ დირექტორად დანიშნეს და ერთდროულად შეუერთეს გურჯაანის, საგარეჯოს აგურის და ასპინძის ბლოკის ქარხნები.

ერთი სიტყვით, სადაც სამინისტროს გაუჭირდებოდა, მაღალ კვალიფიციური სამეურნეო მუშაკს, იქით აწინაურებდნენ. ბატონ თამაზის სასახელოდ უნდა ითქვას, სადაც იმუშავა, ყველგან დამსახურებული ავტორიტეტი და ხელმძღვანელთა და ხელქვეითთა შორის ღირსეული ავტორიტეტი მოიპოვა.

სულ მალე 1990 წელს ბატონი თამაზი საშენ მასალათა სამინისტროს საწარმოო სამმართველოს უფროსად და კოლეგიის წევრად დააწინაურეს.

1993 წელს ლილოს საშენ მასალათა კომბინატის დირექტორად დანიშნეს, იქ ხუთ წელიწადს იმუშავა და მრავალი წარმატებული პროექტები და პროგრამები განახორციელა, ერთხანს ქართულ-ირანული ერთობლივი ფირმის ,,იბერფარსის“ დირექტორად აირჩიეს, სადაც კიდევ უფრო გაიზარდა მინდობილი დავალების შესრულებისადმი პასუხისმგებლობა.

პენსიაში გასვლის შემდეგ ბატონმა თამაზმა წაღვერში თავისი წინაპრების სახლში დაიდო ბინა, იმ სახლში, სადაც თავის ბავშვობის და ახალგაზრდობის წლები გაატარა.

- მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მომიწია მუშაობამ, მეამაყება, რომ საშენ მასალათა საწარმოებში მუშაობის წლებში საქართველოს მშენებლებს 500 მილიონი აგური და სამშენებლო ბლოკი მივაწოდე, ეს კი არც თუ მცირედი წვლილია ქვეყნის აღმშენებლობისათვის, - სიამაყით მითხრა ბატონმა თამაზმა.

წარმატებულმა სამეურნეო მუშაკმა ხელმძღვანელებისაგან მრავალი ჯილდო დაიმასახურა, რაც მისი შრომის ღირსეულად აღიარების საწინდარია და ნამდვილად სასიხარულოა.

ბატონი თამაზი ახალგაზრდული წლებიდან შესანიშნავი ერუდიტი გახლდათ. ეს თვისება არც მოხუცებულობის წლებში განელებია. ახალგაზრდულ წლებში სპორტის ოსტატობის კანდიდატი იყო ჭადრაკში. 1961 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა მოსწავლეთა შორის, იყო საქართველოს ნაკრების წევრი მოსწავლეთა შორის და დიდ წარმატებებს მიაღწია საკავშირო შეჯიბრებებში, რომლებიც გაიმართა მოსკოვში, რიგაში, ვილნიუსში, ბაქოში და სხვაგანაც.

ასაკის მიუხედავად ახლაც ხალისით თამაშობს ჭადრაკს და ხშირად გამარჯვებული გამოდის ბორჯომსა და ახალციხეში გამართულ ტურნირებში.

ამ ნარკვევის დასაწყისში ვახსენე ბატონი თამაზის შემოქმედების და მაღალი ერუდირების შესაძლებლობები, რომლის შესახებაც დიდხანს შეიძლება საუბარი. იგი ჩვენი გაზეთის სასურველი ავტორია, რომლის კალამს ეკუთვნის არაერთი საგულისხმო ისტორიული ნარკვევი, მისი წერილები იბეჭდება ,,ლიტერატურულ მესხეთში“, რაც მთავარია, ბატონ თამაზთან საუბარი თითქმის ყველა საკითხზეა შესაძლებელი დაწყებული საზოგადოებრივი, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თემებით დამთავრებული. საკვირველია, ყოველდღიური შრომით დაღლილი როგორ ასწრებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გაცნობას.

იგი შესანიშნავი მეფუტკრეა, რამდენიმე ათეული სკის მოვლა-პატრონობა არც ისე ადვილია. მისი კეთილშობილება და გულუხვობა, მეგობრებმა არაერთხელ იგემეს, ეს კი ბატონ თამაზის პიროვნებას ნამდვილად ღირსეულად წარმოაჩენს.

ბედნიერებაა ბატონ თამაზთან ურთიერთობა და მეგობრობა. ღმერთმა დალოცოს მისი ლამაზი ოჯახი, მეუღლე, ორი შვილი და 5 შვილიშვილი.

80 წელი მოხუცებულობაში გადადგმული ასაკია, თუმცა ბატონ თამაზს მოხუცებულობის არაფერი აცხია. გვწამს, ბევრჯერ გაგვახარებს თავისი ნიჭიერებით და გონებამახვილობით, მრავალი შესანიშნავი წინადადებისა და პროექტის ავტორია, რომელთა პრაქტიკული ხორცშესხმა ნამდვილად წაადგება ბორჯომ-წაღვერ-ახალდაბა-ბაკურიანის საკურორტო ზონას.

დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა გვინდა ვუსურვოთ ღირსეულ მამულიშვილს და ჩვენი რედაქციის სასიქადულო მეგობარს.

**ვალერიან ლომიძე**

სიახლეები ახალდაბიდან

# ბორჯომის ხეობის კარიბჭის ფერისცვალება

**ცოტაოდენი ისტორიიდან**

დაბა ახალდაბა, ბორჯომის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი დიდი ქალაქის ტიპის დასახლებაა. აქ ერთ დროს, როგორ იტყვიან, ცხოვრება დუღდა. მუშაობდა საავეჯო ფაბრიკა, იყო ორი კინო-დარბაზი, საავადმყოფო და პოლიკლინიკა. კოლმეურნეობა, დაბაში იყო საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, რკინიგზის სადგური, სკოლა-ინტერნატი. მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა სატყეო საცდელი სადგური, ფუნქციონირებდა საბავშვო ბაგა-ბაღი, საჯარო და დაწყებითი სკოლა. შექმნილი იყო ახალდაბის და ნეძვის სატყეოები. ზაფხულობით ათობით საბავშვო ბაგა-ბაღებს და პიონერთა ბანაკებს მასპინძლობდა. მრავლად ჩამოდიოდნენ დამსვენებლები რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. დაბას ჰქონდა პატარა ბაზარიც, საყოველთაოდ ცნობილი პურის საცხობი და სხვა ობიექტები.

**ახალდაბა აღმშენებლობის გზაზეა**

ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. დღეს ძველი დიდების თითქმის აღარაფერი დარჩა. ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტმა თავისი ფუნქცია დაკარგა.

,,ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ცხოვრება გამოცოცხლდა. ერთ დროს ცნობილი კურორტით დაინტერესდნენ თბილისელი ბიზნესმენები და ხელოვანები, რომელთაც შეისყიდეს ძველი საცხოვრებელი სახლები, მიწები, სადაც აიშენეს კოტეჯები.

დაბის მიმართ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ინფრასტრუქტურის განსახორციელებლად. ძირითად ქუჩებში დაიგო ასფალტი, მთლიანად დამთავრდა ქუჩების გარე განათების სამუშაოები. ყოფილ მეავეჯეთა დასახლებაში შეიცვალა ამორტიზებული საკანალიზაციო ქსელი. სხვათა შორის, მსგავსი პროექტი წელს განხორციელდა ვაჟა-ფშაველას ქუჩაზეც.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გრანდიოზული პროექტი, რომელიც სულ მალე შევა ექსპლოატაციაში.

დაბა ახალდაბას შუაზე ჰყოფს მდინარე მტკვარი, მის მარცხენა მხარეს მოსახლეობა პატარა ახალდაბას უწოდებს, სადაც სასმელი წყლის, ელდენისა და გაზიფიცირების პროექტების განხორციელების გარდა აქამდე არაფერი გაკეთებულა, შიდა საუბნო გზები სავალალო მდგომარეობაში იყო და აი, წელს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ წამოიწყო შესანიშნავი პროექტი, წარმატებით მიმდინარეობს ბორჯომის ქუჩის სრული რეაბილიტაცია და შიდა გზების კეთილმოწყობის სამუშაოები.

პროექტი სულ მალე დამთავრდება. მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამს შესრულებული სამუშაოების ხარისხის გამო. დაბის ამ მხარეს ყველა საუბნო გზა არმირებული ბეტონის საფარით დაიფარა, მოეწყო წყალარინები, მცირე მდინარეები მოექცა ბეტონის არტახებში, გაყვანილი იქნა საკანალიზაციო ქსელი, დამთავრდა უბნის სრული გაზიფიკაცია, აშენდა რამდენიმე მცირე ზომის ხიდი. განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობენ მშენებლები ბორჯომის ქუჩის კეთილმოწყობისათვის, ორივე მხარეს კეთდება ტროტუარები, ყველა მოსახლეს რომელთა მიწის ფართობები გამოდის ქუჩის მხარეს, უკეთდება კაპიტალური ბეტონის არტახებში ჩასმული ღობე, დამონტაჟდება ახალი ელექტრობოძები ღამის განათებით. გარე განათების გაყვანილობა სპეციალური კაბელებით მიწის ქვეშ ექცევა, ერთი სიტყვით, მსგავსი პროექტი არამცთუ ახალდაბაში, არამედ სხვა დიდ ქალაქებშიც არ მინახავს, რაც კარგია და აღსანიშნავია. ასევე



უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დაბას უკვე ემსახურება კომფორტული ავტობუსი, მგზავრობის ღირებულება 50 თეთრია, რომლის გადახდა სპეციალური ბარათის მეშვეობით ხდება.

კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა და სრულიად განახლდა დაბის ადმინისტრაციული სახლი, აქვე რეაბილიტირებული იქნა სანიაღვრე არხი, დაბის ცენტრში კეთილმოეწყო ისტორიული წყარო.

ერთი მნიშვნელოვანი პროექტის შესახებაც მინდა აღვნიშნო. ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაკვეთით ტაშისკარის სარწყავი სისტემის მარცხენა მხარეს, რკინიგზის გაუქმებული სადგურის მახლობლად, დაიწყო მცირე ელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე 1,5 მეგავატი იქნება, პროექტის განხორციელების შემდეგ კეთილმოეწყობა აქვე მდებარე ისტორიული ტყე-პარკი, რაც მნიშვნელოვანი სიახლე იქნება არამარტო დაბისათვის, არამედ მუნიციპალიტეტისათვისაც.

საჯარო სკოლასთან კეთილმოეწყო მშვენიერი სკვერი, საჭიდაო დარბაზით, ტრენაჟორებით და მცირე შენობით, სადაც ფეხბურთელთა გასახდელის მოწყობაა გათვალისწინებული.

**სამომავლოდ გასაკეთებელი ბევრია**

დღემდე გაკეთებული და აშენებულის მიმართ მადლობა ეთქმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, სამომავლოდ გასათვალისწინებელია ვაჟა-ფშაველას, რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ა. ყაზბეგის ქუჩების სავალი ნაწილის ბოლო მონაკვეთების კეთილმოწყობა, მოასფალტება. ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე დასრულდა საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, რაც ძალიან კარგია, მაგრამ აუცილებელია, უფრო მჭიდროდ დასახლებული ქუჩების, კერძოდ, რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ყაზბეგის ქუჩების საკანალიზაციო ქსელის დაგეგმვა და შესრულება.

ასევე აუცილებელია აწ გარდაცვლილი ბიზნესმენ ზაზა ბლიაძის აღდგენილი ფოთოლეთის მონასტრამდე მისასვლელი გზის გაფართოება და პირველ ეტაპზე მოხრეშვა, შემდეგ კი მოასფალტებაც შეიძლება.

აუცილებელია სავანის ხევის (წითელხევა) უბნიდან, კერძოდ, ,,ფორიას“ სახაჭაპურედან ბორჯომის ქუჩის ბოლომდე ტროტუარის მოწყობა, სადაც ათობით დასაქმებული და მოსახლეობის დიდი ნაწილი გადაადგილდება. აუცილებელია რეაბილიტირებული წყალსადენის საფილტრი მეურნეობის ექსპლოატაციაში გაშვება.

დაბას ჭირდება პატარა აფთიაქი. პერსპექტივაში კულტურის სამინისტრომ უნდა იზრუნოს ნეძვის IX საუკუნის მონასტრის აღდგენაზე, მანამდე კი მისასვლელი გზა (დაბიდან დაახლოებით 10 კილომეტრია) უნდა გაგანიერდეს და მოიხრეშოს.

ცალკე უნდა აღინიშნოს დაბაში სპორტული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების შესახებ. დაბის ცენტრში იქ, სადაც საჯარო სკოლა და საბავშვო ბაგა-ბაღი მდებარებს, საფეხბურთო მოედანი კეთილმოწყობილია. ეს ,,ბაზა“ ბორჯომის ,,თორისათვის“ მშვენიერი სარეზერვო მოედანი იქნება, მითუმეტეს, რომ მხაპის მისაღებად ახლოს ორი გოგირდოვანი აბანოა.

ვფიქრობთ, ახალდაბელ მოზარდებს აუცილებლად უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ სრულყოფილ საფეხბურთო მოედანზე ივარჯიშონ და ითამაშონ, მით უმეტეს რომ, ამის შესანიშნავი ტრადიციები ახალდაბას აქვს, სადაც ათობით მაღალი კლასის მძლეოსანი და ფეხბურთელი გაიზარდა.

თუ რეზიუმეს გავაკეთებთ, საანგარიშო პერიოდში ბორჯომიოს მუნიციპალიეტის ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეს და ვფიქრობთ, დაბის სრულფასოვანი კეთილმოწყობისათვის კიდევ უფრო მეტი გაკეთდება, რასაც მოსახლეობის მადლიერება და მხარდაჭერა მოჰყვება.

მადლობა ყველას, გაკეთებულისათვის და მომავლის დაგეგმვისათვის, რამე თუ ყველაფერი ეს წაადგება მოსახლეობის დამაგრებას ადგილზე და ასობით დამსვენებლის მოზიდვას, რაც მოსახლეობის შემოსავლებსაც გაზრდის.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

## მოგონებები გარდასულ დღეთა



**რამდენიმე დღის წინ, ბორჯომის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მომიწია გავლამ. ბაქანზე მდგარი თბილისი-ბორჯომის მატარებელი შევნიშნე, რომელიც რამდენიმე წუთში გავიდოდა.** მოგონებებმა გაილვიძა ჩემში, გამახსენდა სტუდენტობის წლები, მეგობრებთან ერთად რომ მიწევდა თითქმის ყოველ კვირას ბორჯომი-თბილისის მიმართულებით მგზავრობა. სწორედ ეს ნაცრისფერ-წითელ ფერებში შეღებილი ელექტრო მატარებელი იყო საუკეთესო მოგონებების წყარო როგორც ჩემთვის, ალბათ ბევრი ადამიანისთვისაც. მახსოვს, 4-5 საათი ისე გადიოდა, ვერც კი ვგრძნობდით, მატარებელი დიდუბის სადგურს როგორ მიუახლოვდებოდა ხოლმე. რთული შემთხვევებიც ყოფილა, ერთხელ, საღამოს საათებში ცეცხლი როგორ გაუჩნდა მატარებელს და მთელი მგზავრები კორტანეთის ტერიტორიაზე, რაღაც გაურკვეველ ადგილას რომ ჩამოგვსვეს. არა, კი არ ჩამოგვსვეს, ისე ვიყავით შეშინებულები, რომ ხალხი ვაგონებიდან თავისი ნებით ხტებოდა იმის შიშით, რომ ყველა ვაგონს ცეცხლი გაუჩნდებოდა და აალდებოდა. თუმცა ახლა ძალიან ტკბილად მახსენდება ის პერიოდი. მე პირადად, წლებია მატარებლით აღარ მიმგზავრია, სწორედ იმ დღეს, როდესაც უკვე დაბინძურებული, ბუჩქნარით, ეკალ-ბარდებითა და ნაგვით სავსე ლიანდაგი დავინახე, გული შემეკუმშა, საოცრად სევდისფერი მეჩვენა დანაგვიანებული ლიანდაგისა და სადგურზე გამეფებული უწესრიგობის გამო. ნუთუ არ შეიძლება, ასეთ უმშვენიერეს ბუნებაში, ჩვენი სავიზიტო ბარათი, ბორჯომი-თბილისის მატარებელი და მთლიანად სადგურის ტერიტორია დასუფთავებული ხვდებოდეს სტუმრებს? მართლაც სირცხვილია ამ ყოველივეს ასე ხილვა.

**ნატალია მესხელი**

# ვულოცავთ!



ჩვენი ოჯახის ბურჯს, ღირსეულ მამას და ბაბუას **ჯუმბერ ციცქიშვილს** ვულოცავთ დაბადების 76 წლისთავს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ღვთის წყალობას.

**ოჯახი.**

# სვეტიცხოველი

სვეტიცხოველი, სვეტიცხოველი, სვეტი ზეციდან,
ცას მიბჯენია დიდებული თორმეტი სვეტი,
ზეცას ხომ იჭერს... თვალს უსწორებს ცასა და მიწას,
სვეტიცხოველი... რა ვინატროთ ამაზე მეტი!
სვეტიცხოველი, ანგელოზთან ერთად ნაღვაწი,
ანგელოზის და კაცის ერთად შემოქმედება,
სად განისვენებს უფლის კვართი, უფლის სამოსი,
და საქართველოს ძალი მისი მადლად ედება.
ღაღადებს მცხეთის სიძველეზე, სიდიადეზე
მტკვარი, არაგვი, მაყვლოვანის სურო და ანწლი,
ელავს ტაძარზე არსაკიძის მოჭრილი მკლავი,
არ აპატია მავანმა მას ეს დიდი ღვაწლი.
ჩამჯდარა იგი პეიზაჟში, ულამაზესში,
როგორც ლოცვა და მიწიერი საგალობელი, ამ დიდ განძს, თუმცა,
სულ, სულ ურჯულონი გვედავებოდნენ,
მაინც ჩვენა ვართ მისი მცველი, მისი მფლობელი.
და ისტორიის ქარტეხილში ერები გაქრნენ,
სვეტიცხოველზე ძვირფასი ჩვენ რა გვაბადია,
დიდება უფალს, მისი ზრუნვა და მისი მადლი,
ჩვენს ერს რომ სწყალობს და რომ იცავს, ცხადზე, ცხადია.
სვეტიცხოველი, უფლის სახლი, უფლის სამყოფი,
ქართველთ ოდიდგან სიკეთედ და მადლად აჩნია,
მცხეთის ჯვრისა და ნინოს წყაროს, სამთავროს თანა,
სვეტიცხოველზე დიდებული რა გაგვაჩნია?
სვეტიცხოველი - ცად აზიდული და მშვენიერი,
მრავალჟამიერ მასთან ერთად, ქართველი ერი!

**ოლიკო ლომიძე**

### შემოქმედი ქალბატონი

# ძველი ნივთების ახალი სიცოცხლე

**თეონა მჟავანაძე** ბორჯომელების რძალია. შესანიშნავი მეუღლე და სამი შვილის დედა გახლავთ. მისი ტრადიციული დილა ადრიანად, ფინჯან ყავასთან ერთად იწყება. ყავას მეუღლესთან, **თამაზ ბალიანთან** ერთად მიირთმევს. შემდეგ სამსახურში აცილებს და იწყებს სამზარეულოში ფუსფუსს, ცოტა ხანში ბავშვებიც ილვიძებენ, ასაუზმებს და სკოლაში მიყავს.

თეოს მეუღლეს ანდეზიტში მეცხოველეობის ფერმა აქვს და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი წლებია აქტიურად არიან ჩართულები საოჯახო საქმიანობაში. მიუხედავად ქართველი ქალის რუტინული ცხოვრებისა, თეონა ხელსაქმითაა დაკავებული. ის ძველ ნივთებს სრულიად ახალ სიცოცხლეს სძენს. მისი ინტერესის საგანი არა მხოლოდ მცირედი მოცულობის საოჯახო ნივთებია, არამედ არც ავეჯის რესტავრაციაზე ამბობს უარს. თეო მიყვება, რომ იდეა მისმა მეგობარმა მიაწოდა, რათა ძველი ნივთი გაეახლებინა და მისთვისაც მოულოდნელად, სულ პირველი ნამუშევარი ე.წ. ტუმბო მაგიდა გახლდათ, რომელმაც მისი საცხოვრებელი სახლის სივრცეში საოცრად განსხვავებული სიახლე შეიტანა. თეო ღიმილით ამბობს, რომ ნივთების განახლება ერთგვარი აზარტია, ვინაიდან, როდესაც პირველი ნივთი დაამზადა, მას შემდეგ ყველგან ძველ ნივთებს ეძებს, რომ განაახლოს. ხშირად წინასწარ არც კი იცის, ნივთი საბოლოოდ როგორი გამოვა. მუშაობის პროცესში უმატებს სხვადასხვა დეტალებს. იყენებს ყველანაირ საშუალებებს, მაგალითად როგორიცაა: ე.წ. ,,ტრაფარეტები“, სხვადასხვა ფერის საღებავები, ცხელი და ასევე წებო პევეა, დეკუპაჟისათვის საჭირო დეკორატიულ ხელსახოცებს და ა.შ. სულ სიახლეების ძიებაშია და დღითიდღე მისი ნამუშევრების მრავალფეროვნებაც თვალშისაცემია. კვერცხის მუყაოს ყუთებისაგან ულამაზესი ჭაღი შექმნა, წიგნების ძველი, უკვე გამოუსადეგარი თაროებისაგან საოცრად ფერადი და გამორჩეული ავეჯი, ძველი სკამისაგან, რბილი და მოსახერხებელი სავარძელი, ყავის უბრალო ქილებისაგან ძალიან მოსახერხებელი და რაც მთავარია, გამორჩეული სამზარეულოს ნივთები, უკვე დაზიანებული და გადასაგდებად გამზადებული საყვავილისაგან განსხვავებული და ლამაზი საყვავილე დაამზადა. მის ფანტაზიას და შესაძლებლობებს საზღვრები არ აქვს.

თეოს არასდროს არ დაუხატავს და ხელოვნებასთანაც კავშირი არ ჰქონია, თუმცა ახსოვს, რომ ბავშვობაში გადაცემა იყო, სადაც ძველი ნივთების გარდაქმნა-გადაკეთება ხდებოდა, რომელსაც



ყოველთვის დიდი ინტერესით უყურებდა. დღეს კი, როდესაც სოციალურ ქსელში უამრავი სიკეთის სწავლა შეიძლება, თეო შეძლებისდაგვარად ცდილობს, რომ თვალი ადევნოს, თუმცა არასდროს ამზადებს იდენტურ ნივთებს, ცდილობს, ყოველთვის განსხვავებული შექმნას. ყველაზე ხანგრძლივი პროცესი ავეჯის რესტავრირებაა, თუმცა ღიმილით მიყვება, რომ მიუხედავად ხანგრძლივი ეტაპებისა, რაც ავეჯის რესტავრაციას სჭირდება, იმდენად დიდი ყოფილა მისი ინტერესი იმისა, თუ საბოლოო ჯამში ნივთი როგორი გამოვა, ხანდახან დათენებია კიდეც, რომ მეორე დღესვე ენახა საკუთარი შრომის შედეგი. ნივთებს უმზადებს ასევე საჩუქრად მეგობრებსაც. თუმცა, მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როდესაც საკუთარი ხელით დამზადებული ნივთები მის სახლს, პირად სივრცეს ალამაზებს. საუბრის დასასრულს ვთხოვე იმ ადამიანებისათვის მიეცა რჩევა, ვისაც ჰგონია, რომ აღნიშნული საქმიანობით დაკავება მხოლოდ ხატვისა და ხელოვნებისადმი მჭიდრო კავშირით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ.

- ჩემი აზრით ხელოვნებასთან, მხატვრობასთან მჭიდრო კავშირი საჭირო არ არის. თუკი უბრალო, ძველი ნივთისათვის ახალი სიცოცხლის მიცემა გინდა, ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანს ინდივიდუალური სილამაზის ხედვა აქვს, მთავარია, საკუთარი კრეატიულობის და შთაგონებების სწორედ გამოყენება. სწორედ აქედან გამომდინარე, ყველაფერი შესაძლებელი და რაც მთავარია, განხორციელებადია, - აღნიშნა თეომ.

ესაუბრა **ნატო მელიქიძემ**

# ინვენტარი სპორტის აღორძინებისათვის

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებისთვის შეძენილი სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების გადაცემას აგრძელებს. ინვენტარი და ეკიპირება ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებმა მიიღეს.** ინვენტარისა და ეკიპირების გადაცემას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **იოსებ ბაღათურია**, სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფოს რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი**, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სპორტული დაწესებულებების აღსაზრდელები ესწრებოდნენ. ინვენტარისა და ეკიპირების გადაცემას დაესწრო ცნობილი ქართველი ვეტერანი მორაგბე, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი **გია ლაბაძეც**.

- მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარებისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის - ფარგლებში 2023 წელს სამინისტროს თანამშრომლების ჯგუფმა 25 მაღალმთიან მუნიციპალიტეტში მწვრთნელებისა და მათი მოსწავლეების საჭიროებების შესწავლის მიზნით კვლევა ჩაატარა. მუნიციპალიტეტებში აღმოჩნდა სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების მწვავე დეფიციტი. არსებული ინვენტარისა და ეკიპირების ნაწილი დაზიანებული იყო და შეცვლა სჭირდებოდა, ეს გარემოება კი ნეგატიურად აისახებოდა ვარჯიშებისა და წვრთნების ხარისხზე, ზრდიდა ტრავმების



რისკს და აფერხებდა სპორტის განვითარებას. მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე, მასობრივი სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, სამინისტრომ მიმართა შპს „სპორტმშენსერვისს“, რომელმაც შეიძინა სპორტსმენთა ეკიპირება და სპორტული ინვენტარი. სამინისტროს მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში 25 მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლებისა და დაწესებულებებისთვის, ასევე სპორტული ფედერაციებისთვის კომპანიამ შეიძინა 3 788 620 ლარი ღირებულების 8 355 ერთეული სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი და ეკიპირება. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი უპრეცედენტოა - მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში პირველად ჩატარდა საჭიროებების მონიტორინგი და ამ რეგიონების სპორტულ ორგანიზაციებს ინვენტარი პირველად გადაეცა.

თითოეულ მუნიციპალიტეტს ინვენტარი და ეკიპირება გადაეცა სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, მწვრთნელებისა და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით, კერძოდ, ა(ა)იპ ბორჯომის სპორტულ სკოლას სათხილამურო ჯოხები, სათხილამურო ჩაფხუტები, სათხილამურო სათვალეები, სპორტული ციგები, რადიოგადამცემები, თხილამურის უთო, ბიატლონის ფეხსაცმელები და ბიატლონის თხილამურები გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებში სპორტულ ინვენტარს არა მარტო სპორტული ორგანიზაციების აღსაზრდელები, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებების წევრებიც გამოიყენებენ. სპორტული ინვენტარი და ეკიპირება მუნიციპალიტეტებსა და ფედერაციებს ეტაპობრივად გადაეცემა.

# ქალი არ არის კაცის საკუთრება

ამ მართლა ავადმყოფების, ამ ქალების მკვლელი თუ მცემელი “შეყვარებულების” მთავარი უბედურებაა მათი ავადმყოფური მესაკუთრეობის და უპირატესობის განცდა ზოგადად ქალის მიმართ. შეიგნეთ და დაიმახსოვრეთ: **ქალი არ არის კაცის საკუთრება!**

არც დედა, არც შეყვარებული, არც ცოლი და არც შენი საკუთარი ქალიშვილი არაა შენი, როგორც კაცის საკუთრება. დედა გივლის მხოლოდ იმიტომ, რომ მან ისურვა შენი გაჩენა და მას უნდოდა, რომ ჰყვარებოდი. ცოლი შენთან ცხოვრობს არა იმიტომ, რომ შენ ხარ ასეთი კარგი, არამედ იმიტომ, რომ მან შეგიყვარა ასეთი და მან ისურვა შენთან ყოფნა. შეყვარებული გოგონა შენთან დარჩება არა იმიტომ, რომ შენ გნებავს ასე, არამედ იმიტომ, რომ მან ისურვა ჰყვარებოდი და მან გადაწყვიტა შენთან დარჩენა. საკუთარ ქალიშვილსაც ეყვარები არა იმიტომ, რომ შენ გააჩინე და გაზარდე, არამედ იმიტომ რომ, მან, როგორც პიროვნებამ, ისურვა, ჰყვარებოდი.

სანამ ასე არ აღზრდის და ამას არ ჩაუნერგავს ქართველი დედა თავის ვაჟს, მუდამ ასე ჭირვეული იდიოტივით ეგონება ზოგიერთს, რომ ქალი მისი საკუთრებაა და სასიკვდილოდაც გაიმეტებს სიყვარულზე უარის შემთხვევაში. ისე, ქალი რომ შენს ყურადღებას და სიყვარულს უარყოფს, როგორ შეიძლება ამან გაგაბრაზოს თუ მართლა კაცი ხარ?!

დეკანოზი **თამაზ ლომიძე**



# გამოხმაურება ოპერატიულად, დიდი პასუხისმგებლობით!

**ბორჯომის დასუფთავების სამსახურის დიდ პასუხისმგებლობაზე მინდა მოგიყვეთ**. მომხდარმა ფაქტმა, რომელსაც პირადად რედაქციის თანამშრომლები შევესწარით, დაგვანახა და სრულიად დაგვარწმუნა, რომ ოპერატიულად მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს არ გვაკმაყოფილებს უბრალოდ მოქალაქეებს იმ პასუხისმგებლობისა და ელემენტარულ ზრუნვისაგან, რომელსაც ქალაქი ჩვენგან მოითხოვს. სკვერში დადგმულ მცირე ზომის ნაგვის ურნებში, სახლიდან გამოტანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები რომ არ უნდა ჩაყაროთ, როდესაც იქვე რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ შესაბამისი დიდი ზომის ნაგვის ურნა დგას, ამაზე არც საუბარი და არც წერა უნდა გვიწევდეს გამუდმებით რედაქციის თითოეულ თანამშრომელს, მაგრამ ისევ ამ საკითხზე გვიწევს მკითხველის ყურადღების შეჩერება.



ბორჯომის ცენტრალურ მოედანზე მცირე ზომის ურნებიდან გადმოყრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები ტერიტორიაზე ქუჩის ძაღლებს ტრადიციულად ამოუყრიათ და იქვე ნადიმი გაუმართავთ. საშინელი სანახავი იყო. მოქალაქეების უპასუხისმგებლობისა და ქუჩის ძაღლების ,,ზეიმის“ კვალდაკვალ პროფესიული ჩვევით ფოტო აპარატით შემზარავი კადრი დავაფიქსირე.

ზუსტად რამდენიმე წუთში. დასუფთავების სამსახურმა ტერიტორია სწრაფად და ოპერატიულად კი დაასუფთავა და როგორც გავიგეთ, ეს არც პირველი, და სავარაუდოდ, არც უკანასკნელი შემთხვევაა. მანამ სანამ არ გავითავისებთ, სად ვტენით სახლიდან გამოტანილ ნაგავს?!

შედარებისთვის სტატიას ორივე ფოტოს ვურთავ თან, სადაც ნათლად ჩანს არსებული შემზარავი ვითარება დასუფთავების სამსახურის მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ. თქვენ ხომ ნაგავი სახლიდან მოიშორეთ და პატარა ნაგვის ურნაში ძალით ჩატენეთ, შემდეგ ამაყად გზა განაგრძეთ მშვიდად, ან სულაც უკან თქვენ ბინაში დაბრუნდით. ჩვენ, თქვენი საამაყო საქციელის შედეგს გზად გადავეყარეთ და ფოტოისტორიადაც შემოგინახეთ. დატკბით, იქნებ მიხვდეთ ერთხელ და სამუდამოდ რას სჩადიხართ?! და ქალაქს შიგ გულში აყრით ნაგავს! და ასეთი უპასუხისმგებლო ადამიანები ამაყობთ ბორჯომისადმი დიდი ,,სიყვარული“, ვაი, შენ ჩემო ბორჯომო და უი, ასეთ ბორჯომელებს.

**იზა იანვარაშვილი**

და ლეილა ხეცურიანი, ძმა მევლუდ გობეჯიშვილი, კოლია ხეცურიანი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

**ედუარდ გობეჯიშვილის**

გარდაცვალებას

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი